საქართ. შემ.[illegible] სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

[illegible]

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—85.

ფასი 5000 მან.

№ 168

შაბათი, მარტის 11 1922 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო შემმარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გადაზავნით ღირს 120,000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან,

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

საქართველოს შევარდენთა კავშირის ჩოგბურთის განწყობი აუწყებს შევარდენ და—ძმებს ჩოგბურთის განწყობის პირველ ვარჯიშთავის

ძმა გიორგი ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება შაბათს 11 მარტს დღის 4 საათზე, საუფლისწულო (უდელნი) ქუჩა № 7, დასაფლავება ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე.

№ 230

ტფილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ

საბიუჯეტო კომისიისა

შემკრები ბიუროსი და მათი სარაიონო აგენტების მოქმედების განსახილველად

დანიშნული კომისია

ამით აუწყებს ყველა დაინტერესებულ კერძო პირთ, ვაჭრებს, დაწესებულებებს, ხამრეწველოებს, რომელთაც აქვთ რამე ცნობები, საჩივრები და პრეტენზიები ზემოდ აღნიშნულ დაწესებულებების არა კანონიერ და ბიუროკრატიული მოქმედების შესახებ, რომ ასეთები პირადათ წერილობითი სახით წარმოადგინონ კომისიაში, რომელიც მოთავსებულია ოთახი № 16 ტფილისის ქალაქის აღმასკომის შენობაში (ყოფილი ქალაქის სამმართველო).

ტერენტი გრანელი

„სულიდან საფლავები“

წიგნი ლექსების.

## წითელი არმიის ოთხი წლის თავი

წითელი არმიის არსებობას და მის მოღვაწეობას ოთხი წელი შეუსრულდა. ოთხი წელი სრულიად უმნიშვნელო დრო არის, თუ მას განყენებულად წარმოვიდგენთ. მაგრამ ოთხი წელი რუსეთის პირობებში მეტად მძიმე და სერიოზული მოვლენა არის, რომელიც მთელი თავისი სიმძიმით გადაიტანა რუსეთის წითელმა ლაშქარმა.

რუსეთის წითელი არმია შეუძლებელია დავაფასოთ და განვიხილოთ რომელიმე ერისა და ქვეყნის საზრისით, ან სარგებლობიანობის საზომით. წითელი არმია არის რევოლუციის ყარაული, მისი დამცველი და გამტარებელი ძალა. იგი საერთაშორისო რევოლუციის აუცილებელი პირობაა. ვინც წითელი არმიის მნიშვნელობას ამ საზომით არ შეაფასებს, იგი აუცილებლად წინააღმდეგობაში ჩავარდება.

ისტორიული ცხოვრების მიმდინარეობამ სოციალური რევოლუციის დაწყება და შეთაურობა დიდს ტანიან რუსეთს არგუნა, იმ რუსეთს, რომელიც პოლიტიკურად და ეკონომიურად ჩამორჩენილი არის [illegible] შედარებით. რუსეთი [illegible] ერთაშორისო მოძრაობის ტონის მიმცემი. მან პირველმა აიღო ხელში მკვეთრი მახვილი მხილებისა და მსოფლიოს დაჩაგრულსა და დამონებულს ნაწილს მოუწოდა განთავისუფლებისაკენ საბრძოლველად. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის გამოკვლევას, თუ რატომ მსოფლიო რევოლუციის დამწყები რუსეთი შეიქმნა და არა ევროპის რომელიმე ქვეყანა, რომელიც შედარებით განვითარებული არის ეკონომიურად. ამას თავისი ისტორიული მიზეზები აქვს, რომელიც თხოულობს უფრო დაწვრილებით ანალიზს; ჩვენ ამ ჟამად ვადასტურებთ იმ კონკრეტულს ფაქტსა და სინამდვილეს, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო ობიექტიური ვითარებაში. ეს ფაქტია ის, რომ დღეს რევოლუციის გამტარებელი და დამცველი არის საბჭოთა რუსეთი და მთელი რიგი სოციალისტური რესპუბლიკებისა.

კაპიტალისტური მსოფლიო ვერ ითმენს ამ რესპუბლიკების არსებობას, ვინაიდან მათ შორის სრული წინააღმდეგობა და ინტერესთა შეუთანხმებლობა არსებობს. საბჭოთა რესპუბლიკების მთავარი მიზანი არის არა მარტო თავის ოჯახში სოციალისტური წყობილების განმტკიცება, არამედ ასეთივე ურთიერთობის განმტკიცება მთელს მსოფლიოში. რევოლუციონური რესპუბლიკების მიზნები არის განადგურება კაპიტალისტური მსოფლიოსი, რომორც ვიცით კაპიტალისტურმა ევროპამ ამ მოქმედებას საწინააღმდეგო აქტით უპასუხა და თვითონ მოინდომა საბჭოთა რესპუბლიკებთან და რევოლუციის სისხლის მორევში ჩადრჩობა. ბრძოლას რუსეთის რევოლუციასა და ევროპის რეაქციის შორის, რომელიც არსებითად გამომხატველი იყო ორი საერთაშორისო ძალის—პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის განწყობილებისა, მეტად სერიოზული ისტორია აქვს და ის ნათელი ხაზებით მიგვითითებს, თუ როგორი გზით უნდა იქმნეს წარმოებული მომავალშიაც რევოლუციონური რესპუბლიკების საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ომის პროცესში გამარჯვებულმა ანტანტამ საბჭოთა რესპუბლიკას ყოველი მხრით შემოარტყა შემფერხებელი რკალი—და არ შისცა მას საშუალება თავისუფალი მოქმედებისა. აღმოსავლეთით ამ ჯაჭვის რგოლებს შეადგენდნენ კოლჩაკ-დენიკინ-ვრანგელის ბანდები, რომელნიც ფაქტიურად აშორებდნენ რევოლუციას აღმოსავლეთის ქვეყნებისაგან. დასავლეთით კი ასეთსავე როლს ასრულებდა ის პატარა სახელმწიფოები, რომელნიც რევოლუციის პროცესში აღმოცენდნენ და ფაქტიურად კი ანტანტის სრულს გავლენის ქვეშ მოექცნენ. ფინეთიდან დაწყებული, ბალტიკის სანაპიროებით ადრიატიკისა და შავი ზღვის გაწვრივ მოსახლე რესპუბლიკები, მათ შორის ამიერ-კავკასიის ქვეყნებიც, ანტანტის გეგმით ასრულებდნენ „სანიტარული კორდონის“ როლს და ევროპასა და რევოლუციას აშორებდნენ ერთი მეორესაგან.

აი ასეთს გამანადგურებელს რკალში იყო მომწყვდეული საბჭოთა რესპუბლიკა.

დღეს ეს რკალი გარღვეულია. რუსეთის თვითრგვლივ [illegible] კონტრ-რევოლუცია მოკვდა, როგორც რეალური ძალა, სანიტარულ კორდონის კორლიკებმა მშვიდობიანი ურთი ერთობა დაიჭირეს საბჭოთა რესპუბლიკებთან. ძველი ობიექტიური მდგომარეობა რუსეთის კონტინენტზე საგრძნობლად შეიცვალა და აქ მომქმედ ძალთა გადაჯგუფება მახდა რევოლუციის სასარგებლოდ: ამ გარემოებამ არსებითი ცვლილება გამოიწვია საერთაშორისო ურთიერთობის სფეროშიაც. საერთაშორისო პოლიტიკაში საბჭოთა რესპუბლიკები შევიდნენ, როგორც მთლიანი საერთაშორისო ძალა, რომელსაც ანგარიშს უწევს ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოებში.

ვისი წყალობით მოხდა ძველი მდგომარეობის ასეთი რადიკალური ცვლილება? ვინ იყო ის ძალა, რომელმაც დაიცვა და განამტკიცა საბჭოთა ხელისუფლება?

ეს ძალა არის წითელი არმია, მუშურ გლეხური რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა. ამ ძალამ დაიცვა რევოლუცია, ამავე ძალამ უნდა დაიყვანოს იგი თავის ლოღიკურს დასკვნამდე: აღმოფხვრას კაპიტალისტური მსოფლიო და განამტკიცოს სოციალისტური კულტურა.

წითელი ლაშქარი საერთაშორისო რევოლუციის ყარაულია; გარეშე ამ ძალისა რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელია. ეს სავსებით დაამტკიცა წარსულმა ისტორიამ და მომავალიც დაგვიანებით მიითითოვს ამ ძალის გამაგრებასა და გაძლიერებას.

დღეს, როდესაც წითელი არმია დღესასწაულობს თავისი ოთხი წლის არსებობის დღეს, ეს არსებითად არის რევოლუციის დღესასწაული, მისი გამარჯვებისა და განმტკიცების საქმე.

და ეს დიდი დღე წითელის ასოებით იქნება აღნიშნული საერთაშორისო რევოლუციის ისტორიაში.

ს. დევდარიანი.

## რკინის გზის ამბავი.

რკინის გზის ცხოვრება მეტად აწეწილია. ერთ-ორ კვირას ადვილად შეამჩნევთ, რომ მატარებელში ნემსის მოთავსებაც შეუძლებელი ხდება უამრავი მგზავრის გამო, ხოლო მეორე და მესამე კვირას კი ფანჯრები დარიბად გამოიყურებიან და კონდუქტორებიც ბოლთასა სცემენ.

მარტო ამ ცვლილებებით რომ თავდებოდეს საქმე, ჩვენ ყურადღებასაც არ მივაქცევდით. რკინის გზის საკითხს ჩვენ ვერ განვიხილავთ ვაგონის ხალხით გავსების თუ სიცარიელის თვალსაზრისით. არა, რკინის გზა ჩვენი ცხოვრების არტერიაა, ურომლისოდაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება იღვევა და იქსაქსება.

მე არ მგონია ვინმე მოიპოვებოდეს ჩვენ მი ისეთი, რომლისთვისაც რკინის გზის მნიშვნელობის საკითხი კიდევ სადავო იყოს. მიუხედავად ამისა ბევრს მაინც სერიოზული წარმოდგენა არ აქვს რკინის გზის როლზე ჩვენს მატერიალურს და დამეჩავებულს ცხოვრებაში. აქას აღვნიშნავთ არა უბრალო მომაკვდავის გასაგონად და მისამართით, არამედ პასუხისმგებელ მუშაკთა საყურადღებოთ, რომელნიც ძალიან მცირე ყურადღებას აპყრობენ რკინის გზის მიმდინარე ცხოვრებას.

საქართველოს რკინის გზა შეუძლებელია ერთი წუთითაც დავაშოროთ თვით საქართველოს ეკონომიურ ცხოვრების საერთო მდგომარეობას. ფაქტი ის არის, რომ საქართველოს რკინის გზა შეიქმნა სრულიად სეპარატიული ორგანიზაცია ჩვენს ცხოვრებასთან და რკინის გზის ოჯახობრივი საკითხები არ სწყდება ჩვენი ეკონომიკის მიხედვით.

ამ შემთხვევაში ჩვენ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ამ უკანასკნელ თვის განმავლობაში მეტად ხშირად იცვლება საქართველოს რკინის გზებზე ტარიფის ნიშნები. არავინ არ იცის დღეს რა ღირს სამგზავრო ან საბარგო ბილეთი, ხვალ რა ეღირება და ასე ქვევით. ასეთი მდგომარეობა ჩვენი ცხოვრების ბუნებიდან იოტის ოდნავ არ გამომდინარეობს. ჩვენი ეკონომიკა არც ისე დაავადმყოფებულა, რომ ყოველდღე საჭირო იყოს რკინის გზის ძირითად ტარიფების ცვალებადობა. პირიქით, ამ ბოლო დროს რესპუბლიკის ძას შტაბ ში ქართული ფულის ღირებულება საგრძნობლად განმტკიცდა, ერთ თვეში ჩვენ ში ჩვენი ფული გამაგრდა ხუთჯერ, მაგრამ გაიხედეთ ეხლა ჩვენს რკინის გზებზე და ნახეთ რა ხდება მანდ. 1 თებერვალთან შედარებით 7 მარტს ტარიფი გაადიდეს ათჯერ, ესე იგი რკინის გზის ძიმართულებით ჩვენი ფულის ღირებულება დაეცა და დაიმალა. სასწრაფო მატარებელ ში ბილეთი ღირდა 9 მარტს ტფილისიდან ბათომამდე თითქმის 1.500 ათასი მანეთი, ბოლო ჩვეულებრივ ვაგონ ში ფასი მილიონამდე ადწეკდა.

მთელი ჩვენი მეურნეობრივი აპარატი იქით არის მიმართული, რომ გახვამტკიცოთ ქართული ფული, რკინის გზის მთელი სამეურნეო აპარატი კი მიისწრაფის დასცეს ჩვენი ფულის ღირებულება. ეს დისონანსი დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს.

რა ზიანი მოაქვს ამ არევ-დარევას? მე აქ სრულიად ვივიწყებ ამ ანარქიის მორალურ მნიშვნელობას ჩვენს ხალხში, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხელისუფლობისათვის. რკინის გზისთანა პროპაგანდისტი არ არსებობს საქართველოში, იგი უხილავი ძაფებით დაკავშირებულია არა მარტო ქალაქის სრა-სასახლეებთან, არამედ ულატაკეს სოფლის უღარიბეს ქოხთან. რკინის გზის ანარქია არავის ისე არ აწუხებს, როგორც დატაკ გლეხს და მუშას. სპეკულიანტისათვის სულ ერთია რაც უნდა ღირდეს სხვა და სხვა ბილეთი. მაგრამ გლეხმა რა უნდა ქმნას, როცა ის დამშეულია, ფულები აღარ მოეპოება და რაც ქონდა იმის ნაწილსაც აღარ ვიღებთ. არის არა ერთი შემთხვევა, როცა გზად წასული გლეხი გზაში დარჩენილა სრულიად უკაპეიკოდ და სრულიად შემთხვევით ჩავარდნილა შეიარაღებულ ჯარისკაცის ხელში მხოლოდ იმიტომ, რომ ფული აღარ ყოფნია უცაბედად მომატებულ ბილეთის შესაძენად. ეს პირდაპირ გამანადგურებელია ჩვენი სახელის და მუშაობისათვის. ჩვენი უმთავრესი მიზანია არავითარ შემთხვევაში არ გავაღიზიანოთ მგზავრი, არ გავამწაროთ იგი, ლანძღვა-გინების საბაბი არ მივცეთ.

ეხლა შევეხოთ ამავე საკითხს წმინდა ეკონომიურის მხრივ. ყველაში უწყის თითქმის ყოველ საქონელზე ფასები საგრძნობლად დაეცა. თუ რამე გვიშველის ჩვენ — გვიშველის მხოლოდ ფასების დაცემა. ამის მიუხედავად ჩვენ ვხედავთ, რომ ხორბლეულზე ფასი არა თუ არ ეცემა, პირიქით, მატულობს. რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ მაღალი რკინის გზის ტარიფი შეუძლებლად ხდის ფქვილის შემოზიდვას, ქალაქი ცარიელდება და მოთხოვნილება პურზე პროპორციულად იზრდება. თუ რკინის გზის დღევანდელი მდგომარეობა გაგრძელდა, ჩვენ სრულიად შეუცდომლად ვიტყვით, რომ დაახლოვებით დაგვიდგება ის საშინელი კატასტროფიული დღეები, რომელიც განვლეთ თებერვალში, როცა ათ მანეთიანი ოქრო 6 მილიონს გახდა.

ყოვლად დაუშვებელია: სახელმწიფო ერთ გზას ადგეს, რკინის გზა კი—მეორეს.

რამ გამოიწვია ეს ანარქია, რაა ამის მიზეზი? რა უნდა ვქნათ, რომ მდგომარეობა გამოვასწოროთ?

მდგომარეობა შემდეგშია. როგორც ჩვენ, ისე რუსეთიც თან და თან გადავდივართ ოქროს წესზე, ვცდილობთ ყოველი ანგარიში დავაფუძნოთ მტკიცე ვალიუტის ანგარიშებზე. ეს პრინციპი სავსებით მისაღებია და მას უნდა ვემსახუროთ. მაგრამ კითხვა იბადება: ჩვენ მი, საქართველოში, რომელი მანეთის კურსი უნდა იქმნას მხედველობაში მიღებული? რუსული თუ ჩვენი?—საქართველოს ფარგლებში ჩვენ უეჭველად ჩვენი მანეთი უნდა დაუპირისპიროთ ოქროს კურს. ვიდრე საბჭოთა რესპუბლიკებს აქვსთ არა ერთი მანეთი, არამედ სხვა და სხვა მანეთი, მანამდისინ აუცილებლივ უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ მანეთით, რომელსაც ადგილობრივ აქვს ძალა და მნიშვნელობა.

ეს ისეთი ელემენტარული, პირდაპირ საბავშო დებულებაა, რომ სირცხვილად მიმაჩნია მის სასარგებლოდ რაიმე არგუმენტის წამოყენება. მიუხედავად ამისა ეს საბავშო ელემენტარული დებულება ჩვენ ში განხორციელებული არ არის. რასაკვირველია აქაში ბრალს ჩვენ არავის არ ვდებთ, ჩვენს წინაშე დიდი, საპასუხისმგებლო გაუგებრობაა და ამ გაუგებრობამ ჯერ-ჯერობით დიდი ზიანი მოგვიტანა. რაც შეიძლება ჩქარა უნდა გაირკვეს ეს გაუგებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობა და აღსდგეს ნორმალური პირობები,

ოქროს ანგარიში მიუცილებელი და საჭიროა, მაგრამ ეს ანგარიში ჩვენში უნდა გადმოვიტანოთ ჩვენს ფულზე. ჩვენი ფული მტკიცე და შედარებით ურყევი. ეს ნიშნავს რკინის გზიდან ანარქიის განდევნას, ფასების არა მაღლა-მაღლა აწევას, არამედ დაბლა-დაბლა დაწევას. ერთი სიტყვით ეს პოლიტიკა გამოიწვევს ჩვენი ფულის კიდევ უფრო გაჯანსაღებას, ჩვენი ხალხის კიდევ უფრო დაწყნარებას, საქონლის მეტად გაიაფებას, ესე იგი მშრომელი ხალხის ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესობას.

ყველა უნდა მივისწრაფოდეთ ამ მიმართულებით და ამიტომ ოდნავათაც არ შევცდებით, რომ ყოველ მოქალაქის სახელით ვსთქვათ: დაუყოვნებლივ შეცვლას რკინის გზის ტარიფის ჩვენი ფულების მიხედვით.

თედო ღლონტი.

# სოციალური უზრუნველყოფის საქმე ჩვენში

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საკითხი მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ დაყენებულ იქმნა ფართო ნიადაგზე.

თუ სოციალური უზრუნველყოფა წარსულში (მეფურ და მენშევიკურ მთავრობების დროს) დამყარებული იყო, ერთის მხრივ მუშათა დაზღვევაზე და მეორე მხრივ დახმარების აღმოჩენის ფილანტროპიულ ხასიათზე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სოციალური უზრუნველყოფის საკითხმა მიიღო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა მიენდო სპეციალურ ორგანოს—სოციალური უზრუნველყოფის სახკომისარიატს.

ახალი საქმე, მომეტებულ ფრთხილად და სათუთადაა მისაპყრობი, რომელსაც უნდა გამოენახა გზები დახმარებისა, აღმოეჩინა წყაროები შემოსავლისა, გამოერკვია დახმარების სახენი სხვა და სხვა კლასობრივ ელემენტებისათვის უფრო მიზანშეწონილი და მიზანს მიმხვედრი. ეს საქმე დღესაც ვერ არის ნათლად გამორკვეული და როგორც დასაწყისში, ისე დღესაც არევ-დარევის სახის მატარებელია.

რუსეთის სოც. უზ. სახკომისარიატის შინაგან სტრუქტურის და უზრუნველყოფის სახეების უცვლელად გადმოღებამ, იმის და მიუხედავად საჭირო იყო საქართველოსათვის ეგეთი სტრუქტურა (განყოფილებანი, ქვეგანყოფილებანი, პუნქტები როგორც სახკომისარიატში, ისე მაზრის განყოფილებებშიაც) და მეორეს მხრივ მიზანშეწონილი იყო თუ არა ესა თუ ის უზრუნველყოფის სახე, თავიდანვე ყალბ ნიადაგზე დააყენა დახმარების აღმოჩენის საქმე ჩვენში. მხოლოდ წარსულ წლის დეკემბერში კომისარიატმა მოახდინა ის, რითაც საქმე უნდა დაწყებულიყო. შეამოკლა ვეებერთელა შტატები, გააუქმა პუნქტები, შეამცირა ქვეგანყოფილებანი სახკომისარიატში და მთლად მოისპო ეგეთები მაზგანყოფილებებში.

ამნაირად, საბოლოოდ როგორც იქნა ჩამოყალიბდა აუცილებლად საჭირო, მუდმივი და ძირითადი სტრუქტურა კომისარიატისა.

მაგრამ გაურკვეველი დარჩა მეორე და უფრო დიდმნიშვნელოვანი საქმე—ეს სოციალური უზრუნველყოფის სახეების სად ნიადაგზე დამყარება.

დღეს გაურკვეველი რჩება საკითხი—ვის ეხმარება სახკომისარიატი და მისი ორგანოები, რით ეხმარება და აღწევს თუ არა მიზანს მის მიერ გაცემული დახმარებანი?

სისტემა ფულით დახმარების აღმოჩენისა, რომელსაც თავიდან დაადგა სახკომისარიატი და დღესაც უცვლელად ადგა, ცხადზე უცხადესია, ყოვლად მიზანშეუწონელია. თუთხმეტი ათასი მანეთი თვიურად რომელსაც იღებს პენსიონერი, რასაკვირველია მიზანს ვერ მიაღწევს და გაჭირვებაში მყოფს შიმშილისაგან ვერ იხსნის, მაგრამ განა რომელიმე პენსიონერს მიუღია ეს თუთხმეტი ათასი მანეთი თავის დროზედ? განა რომელიმე პენსიონერი გასტუმრებულია სრულიად უკანასკნელ თვემდის?

აქ პასუხათ შეიძლება ითქვას საყოფი რესურსების უქონლობა, ფულის მიუღებლობა და სხვ. მაგრამ ჩვენ მაშინ სახკომისარიატს მივუთითებთ იმ ფართო კანონებზედ, რომლებიც გამოცემულია მის მიერ და დღესაც შეუცვლელია.

საჭირო იყო ამ შემთხვევაში დროებით კანონის გამოშვება, რომელსაც ნათლად და მკაცრად უნდა განესაზღვრა დახმარების მსარგებელთა პირები იმ რესურსების მიხედვით, რომლებიც მიეპოვებოდა სახკომისარიატს.

მეორე მხრივ—საჭიროა სამეურნეო ხარჯების ძლიერად შეკვეცა.

მაგალითისათვის: სახკომისარიატს ყავს 12 ცხენი, რომლებიც მაინც და მაინც ძლიერ არ ესაჭიროება მას. დღიურად 12 ცხენის გამოკვება მას უჯდება არა ნაკლები ნახევარ მილიონისა, ამნაირად თვიურად ცხენების გამოკვებას უნდება 15 მილიონი მანეთი (გარდა მოსამსახურეთა ჯამაგირისა), როგორი თანხაც გაისტუმრებდა 1000 პენსიონერს ყოველთვიურ ე. ი. ორი-სამი მაზრის გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფთ მცხოვრებლებს.

მეორე მაგალითიც: მაზრის განყოფილებების გამგეებს ყოველთვიურად უხდებათ სახკომისარიატში ჩამოსვლა ფულის მისაღებად. ისინი რჩებიან ხშირათ ერთი კვირა ფულის მიუღებლობის გამო, ამათი გზის ქირა, დღიურები კომისარიატს უჯდება არა ნაკლები რვაასი ათასი მანეთისა თითოეულზე. ამნაირად, ყოველთვიურათ ოცი განყოფილების წარმომადგენელი ხარჯავს—16.000.000 მანეთს. იხარჯება მხოლოდ იმისათვის, რომ სახკომისარიატი ყურადღებას არ აქცევს განყოფილებებს და არ უგზავნის ყოველთვიურად ფულს დანიშნულებისამებრ.

ეს ორი მაგალითი საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ სახკომისარიატს აქვს მრავალი ხარჯები, რომლების შეკვეცა თავიდან აცილება შეიძლება, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევს და დღემდის ეს მოვლენანი ანადგურებს სახკომისარიატის რესურსებს.

რისი ბრალია ყოველივე ეს, რისი ბრალია რომ სოც. უზრუნველყოფის საქმე ვერ არის დაყენებული სათანადო დონეზე.

ამის პასუხად აღვნიშნავთ, რომ სახკომისარიატში აქვს ადგილი 2 მოვლენას—პასუხისმგებელ ამხანაგთა მოუცლელობას და გულგრილობას. არის ხოლმე ვეგეთი დღეები და კვირეები, როდესაც სახკომისარიატი მთლად დაცარიელებულია პასუხისმგებელ ამხანაგებიდან. მართალია ისინი საჭირონი არიან სხვა ადგილზე უფრო საპასუხისმგებლო საქმეებისათვის, მაგრამ ამავე დროს იმათ წასვლით, კომისარიატის მუშაობა არ უნდა დუნდებოდეს, არ იზლებოდეს, ინგრეოდეს. თუ მათი წასვლა ეგეთ შედეგებს მოიტანს ამ შემთხვევაში ნაწილი მაინც დატოვებული უნდა იქნეს, რომ წინსვლა დაეტყოს საქმეებს და არ დაიფუშოს ის.

ამასთანავე ცხადია გულგრილობაც. აბა, როგორ გულმოდგინე მუშაობა შეეძლებათ იმ ამხანაგებს, რომლებიც დღეს კომისარიატში არიან, შემდეგ ერთი კვირით სხვა საქმეზე გაგზავნილნი, შემდეგ ერთი საათით კვლავ კომისარიატში და ხუთი სხვა რომელიმე დაწესებულებაში. ეს გულგრილობა უფრო საგრძნობია—მაზრის განყოფილებათა პასუხისმგებელ ამხანაგებთათვის; რომლებსაც ჩაბარეს განყოფილებანი, დააყენეს აღრიცხვაზე ყველა დაჭრილ-დავრდომილ-დაავადებულნი და თავის ძალის ანაბარად არიან მიტოვებულნი. თუ თითონ არ ჩამოვიდნენ, პირადათ არ „ევედრენ" ავანსების მიცემისათვის თუ ერთი კვირით არ შემოიარეს ყველა დარბაზები სახკომისარიატისა ისე ფულს პენსიონერთა და წითელ-არმიელთა ოჯახებისათვის დასარიგებლად ვერ ეღირსებიან და ამ ტანჯვა-წვალების შემდეგაც მიიღებენ მხოლოდ სამ-ოთხ მილიონს, რომლიდან, როგორც ზევით აღვნიშნეთ, რვაასი ათასი საჭმელ-სასმლისათვის დაეხარჯებათ და დანარჩენიც თანამშრომელთა ჯამაგირებს, თუ გაისტუმრებს, პენსიონერები კი უფულოთ დარჩებიან.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ სისტემა ფულით დახმარების აღმოჩენისა არ არის მიზანშეწონილი, მით უმეტეს იმ რაოდენობით, რომელიც დაწესებულია დღეს რუსეთის სოც. უზრ. სახკომისარიატი დაეყრდნო რა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის საფუძვლებზე, სრულიად შესცვალა როგორც გზა სოც. უზრუნველყოფისა, ისე დახმარების აღმოჩენის სახეები.

საქართველოს სოც. უზრ. სამაზრო განყოფილებების გამგეების 1 კონფერენციამ სწორათ სცნო რუსეთის მიერ მიღებული პრინციპები და საჭიროთ დაინახა სასწრაფოთ გამომუშავებულიყო სათანადო კანონები ადგილობრივ მდგომარეობასთან შეფარდებული, მაგრამ დღემდის არც ერთი კანონი ამ ახალ დებულებებზედ აშენებული არ გამოცემულა და მის მაგიერ დაწესებულა (როგორც გაზეთებიდან გვიგიეთ) პენსიისრაოდენობა თვიურად 450 ათასი მანეთი. დღეს დაუკმაყოფილებელნი არიან პენსიონერები წარსულ წლის თვეებშიაც კი და ჩვენთვის საეჭვოთ ხდება საკითხი შესძლებს თუ არა კომისარიატი 450 ათასი მანეთის გაცემას ყოველთვიურად მთელს რესპუბლიკის ფარგლებში მყოფ თითოეულ პენსიონერზედ, როდესაც მან ვერ შესძლო 15 ათასი მანეთი მიეცა პენსიონერებთათვის და დღესაც ვალათ ადევს თავზე.

გვგონია რომ ვერა.

მაშასადამე ეს უფრო არევ-დარევას გამოიწვევს დახმარების აღმოჩენის საქმეში და განსაკუთრებით იმ რაიონებში სადაც შიმშილი მძვინვარებს და ხალხს მუსრავს.

სწორეთ ამ რაიონებს, კომისარიატის მიერ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა, მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ ამ რაიონების განყოფილებების გამგეობა კიდევ იანვრის პირველ რიცხვებში (კონფერენციის დროს) განუცხადეს სახკომისარიატს შიმშილის შესახებ, ჩვეულებრივმა გულგრილობამ მხოლოდ ხუთ-ხუთი მილიონი გადმოება მათთვის.

მაშ რაშია ხსნა?!

პირველი: სისტემა ფულით დახმარების აღმოჩენისა უარყოფილ და მიტოვებულ უნდა იქნეს, როგორც მიზანშეუწონელი. სასწრაფოდ შედგენილ უნდა იქმნეს სოფლებში—გლეხთა ურთიერთშორის დამხმარე კომიტეტები და ქალაქის მუშა მოსამსახურეთათვის დამზღვევი კასსები ახალ საფუძვლებზე აღმოცენებული. განსაკუთრებით სასწრაფოდ დამხმარე კომიტეტების შედგენაა საჭირო დამშეულ რაიონებში.

მეორე: შეკვეცილ უნდა იქნეს ყოველივე ზედმეტი, მომეტებულ საჭიროებით არა გამოწვეული ხარჯები.

მესამე: მაზრის განყოფილებებს უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, განსაკუთრებით იმ რაიონებისას, რომლების მცხოვრებნიც დამშეულნი არიან: [illegible] ეგზავნოს მათ ტანსაცმელ-ფეხსაცმელი, სურსათი და ფული დამშეულ პენსიონერთათვის [illegible].

მეოთხე: გადასინჯულ უნდა იქნეს სახკომისარიატის [illegible] გარ და გამოცდილ მუშაკთა შერჩევით.

ტონი.

# შოთა რუსთაველის დაბადების შვიდას ორმოცდა ათი წლის თავი

წამოყენებულ იქმნა საკითხი შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლის თავის დღესასწაულის გამართვის, სხვა ქვეყნებში ერის ჩინებულ მოღვაწეთა, მოქირნახულეთა დაბადება-სიკვდილის და ნაღვლ-შავბნელ დღეთა მოგონება შემოღებული აქვსთ ცალ ცალკე დღესასწაულად, რომ ერსა კავშირი არ გასწყვეტოდეს ნამყო ცხოვრებასთან და წინაპართა მიერ გამოვლილი ქარისა თუ ლხინის დღეები გამოიყენოს თავისი ცხოვრების ერთგვარ საფუძვლად. ტყუილად კი არ უთქვამს, ვისაც უთქვამს, აწმყო, შობილი ნამყოისაგან, მშობელი არის ყოფადისაო.

ქართველ ერსაც როგორც ძველისძველი კულტურის მქონებელს გადაუხდია თავისი ისტორიული ცხოვრების [illegible] კულტურის [illegible]. გადაწყვეტილი აქვს, [illegible] გადაერჩინოს თავისი კულტურა, თავისი ფიზიკური და სულიერი ცხოვრება, რაიც არ ემსგავსებოდა იესო ნაზარეველის იგავის [illegible], რომელმაც [illegible] ქანქარი მიწაში ჩაფლა, მის ნაცვლად, რომ ესარგებლებინა. მაშასადამე ქართველი მშრომელი ხალხი სიხარულით შეხვდება შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლის თავის დღესასწაულს.

ქართველთ კულტურული ცხოვრების მესვეურნი დღემდის ცხვირს იქით ვერაფერს ჰხედავდნენ. აფასებდნენ მხოლოდ თანამედროვე მოღვაწეებს და მათ შორის პოეტებს და არტისტებს, ვისთვისაც ზოგჯერ არა ერთი სუფრა გადაუხდიათ. აღსანიშნავია ისტორიულ ცხოვრების ერთი ამბავი ქართველთათვის სამარცხვინო კრწანისის ბრძოლის ასი წლის თავი, რომელიც ლიხთ ამიერ- და იმიერ გადახდილ იქმნა გრძნობის ძლიერის ამბითა.

დიდი პოეტებისათვის მკვლევართა წრეებიც კი არსებობს, მაგალითად, ინგლისში შექსპირისთვის, რომლისაც არა თუ ცხოვრებას და ნაწერებს იკვლევენ, არამედ რაოდენობაც კი დაუთვლიათ სიტყვებისა, რითაც იხატება ენა, გული და ხელოვნება ცისქვეშეთის უდიდესი პოეტ-დრამატურგისა. ქართველთა ნასწავლმა საზოგადოებამაც მიბაძა უცხოეთის მაგალითს და დაარსა შოთა რუსთაველის საზოგადოება, მაგრამ საზოგადოება იგი დღე ნაკლები გამოდგა და ჩაბარდა პატრონს. მიზეზი უგულობა, უსულობა იყო. ვეფხვის ტყაოსნის ესთეტიკური შესწავლაც არ ყოფილა შორს წასული. აკაკი წერეთლის კრიტიკა ეთნოგრაფიული ელემენტების ძებნას ვერ გასცილდა, რა წარმოიდგინა ავთანდილ იმერლად, ხოლო ტარიელ ქართლელად. ამ ყალბმა კრიტიკამ გავლენა მაინც მოახდინა ვეფხის ტყაოსნის გამომცემელ კომისიაზე, მხატვარ ზიჩის გმირნი ქალ-ვაჟნი დაახატვინა ქართულად ჩაცმულნი ცოცხალი სურათების შემდეგ, რომელიც დადგმულ იქმნა ზიჩისავე ხელმძღვანელობით 1880 წ. ტფილისს და ქუთაისს და რამაც დიდი აღტაცება გამოიწვია საზოგადოებისა. ქართული ტანთ ჩაცმულობა ვეფხის ტყაოსნის ზოგ ერთი გმირისათვის შეუფერებელი მეჩვენა, მაგრამ ერთმა გულუბრყვილო პატრიოტმა ძლიერ მოიწონა, რა მითხრა, ქართული ტანისამოსიც არაბეთ ინდოეთიდან არისო. განათლებულ ქართველს მხოლოდ თავი მოსწონს თავისი მშობელი ერის ძველი კულტურით, მაგრამ კულტურა იგი მისთვის უცხო ხილია ისე რომ თუ სპეციალისტი არ არის ქართული კულტურისა, სრულიად უცხოა, რომ დაიკმაყოფილოს უცხო ტომელის ცნობის მოყვარეობა. თუ ეს ითქმის ქართველი ვაჟისათვის საერთოდ, განათლებული ქართველი ქალი კიდევ უფრო ნაკლებია ქართული კულტურის ცოდნის მიმდევარი. უმეტესობა მათ შორის ჯერ კიდევ წარმოადგენს გამარუსებელი პოლიტიკის საცოდავ მსხვერპლს, რომელსაც რუსული ენის ცოდნა განათლება, ხოლო უცოდინარობა გაუნათლებლობა ჰგონია.

შოთა რუსთველის მომავალი იუბილეს გამო, მისი პოეზიის დახასიათება „კომუნისტის" წერილის უცნობმა ავტორმა ისეთი მოგვცა, თითქოს ვეფხის ტყაოსანი ყარამანიანისებური რამ თხზულება იყვეს. ვშიშობ ამ გარემოებამ არ იქონიოს ერთგვარი გავლენა ვეფხის ტყაოსნის იდეის შეგნებასა და ავტორის ნიჭის დაფასებაზე. შოთა რუსთველი სიმშვენიერის, სიკეთის და სიმართლის იდეალების უდიდესი მგოსანია. არა თუ მოგვცა საოცარი სიბრძნე-სიცრუისა, არამედ აგვიგო ხიბლებულ იდეალთა პოეტიური ფიგურების დიდ-ნახევლავი ტალანი, რომელსაც აშვენებს უცხო რამ მოოქვილობა გარეთ, ხოლო იმ პოეტიური ფიგურების მოხატულობა შიგნით. ვეფხის ტყაოსნის სწავლამ გააპატიოსნა, გაანათლა და ქვეყნის უსამართლობასთან ბრძოლას შეაჩვია „გლახის ნაამბობის" გმირი გაბრო. ბრძოლა კიდევ დასჭირდა ამ სპეტაკი სულის პატრონ მაშვრალს ადამიანის ღირსების დასაცავად წინააღმდეგ გაღატაკებული ფეოდალისა, რომელიც პირად სიამოვნებას უფრო აფასებდა და მისთვის სულ ერთი იყო, რა გზით მოიპოვებოდა, თუნდ სუსტი არსების გაუბედურებითაც. სოციალისტური კულტურის დროს, ვეფხის ტყაოსნის სწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც იგია დაუშრეტელი წყარო კაცის გადამიახლების და ძისი გამხნევებისა უსამართლობასთან ბრძოლაში, ცხოვრების მიერ დათრგუნვილი სიმართლის აღსადგენად. ვეფხის ტყაოსნის მაღალი ზნეობით, ქველობით და სიბრძნით აღჭურვილი მაშვრალი სხვა ქვეყნელზე არა ნაკლებ გაუმკლავდება უსამართლობას წუთისოფლისას, რომელიც მხოლოდ ძლიერსა და მდიდარს უღიმის.

რაც შეეხება დღესასწაულის გამართვის პროგრამას, შემდეგი უნდა ითქვას, უპირველესად ყოვლისა ჩვეული შეცდომა თავიდან აცილებული უნდა იქმნეს და ცხოველი სურათები დაიდგას ისე, როგორც თვით შოთა რუსთველს დაუხატნია ჩვენთვის გმირები ინდოეთისა ინდოელად და არაბეთისა არაბად. ვეფხის ტყაოსანი საყვარელია არა იმისთვის, რომ აქ ვითომც ქართველობა გამოეყვანოს ავტორს, არამედ იმისთვის, რომ იქაური გმირები საერთოდ ადამიანებია, რომელთაც გამჯდარი აქვს ადამიანობისადმი პატიოსანი მისწრაფებები. ხოლო ასეთი სულთა სწრაფვის მატარებელი ვინ იქნება, სულ ერთია, ინდოელი, თუ არაბი. ჩვენთვის ორივე საყვარელი და მისაბაძია.

როგორც ვიცით, რუსთველის ძეგლის საფუძვლება მოხდა გასულ მაისის 26, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, წარმოითქვა მრავალი სიტყვა, თითონ ძეგლს კი ვერ ვხედავთ. იმავე დროს მხოლოდ მოღვაწეთა, სოციალისტური კულტურის დიდ მუშაკთა ძეგლებით კი მორთულია დიდი ქალაქის მოედნები. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ შოთა რუსთველიც უდიდესი მუშაკია კულტურის, მაგრამ კულტურის დასარგებლად იმას ეურჩევია პოეზია.

პეტრე მარანიშვილი.

# რუსული პრესა

მოსკოვის გაზეთები, მთელ რიგს წერილებს უძღვნიან საფრანგეთის პროექტს რუსეთის „ექსპერტული გამოცდის" შესახებ.

„პრავდა" სწერს, „საბჭოთა რესპუბლიკა ისედაც დიდ დათმობაზე წავიდა და იცნო ვალები, სანამ ინგლისი და საფრანგეთი იცნო და იმ ზარალს, რომელიც რუსეთს მიაყენა ინტერვენციამ ეს აღიარება ვალებისა თავის თავად ნიშნავს იმ დათმობას, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა რუსეთი. მაგრამ თუ საბჭოთა რესპუბლიკის ამ დათმობას არ მოჰყვა მისი ფორმალური ცნობა და წინააღმდეგ, მასთან ურთიერთობა შექმნის აუტანელი „ექსპერტული გამოცდის" მგზავსად, მაშინ საბჭოთა რესპუბლიკას მხოლოდ ერთი პასუხი აქვს. ეს პასუხია კანის დადგენილებათა უარყოფა ყველა მისი შედეგებით. ეს კი ნიშნავს, რომ ევროპის ეკონომიურ-ფინანსიური ნორმალური ცხოვრების საკითხი დარჩება იმ მდგომარეობაში, როგორიც იყო კანის კონფერენციამდე. ამ რიგად მთელი მუშაობა შეთანხმების შესაძლებლობისა თავიდან უნდა იქნეს დაწყებული.

ამ მდგომარეობით ყველაზე ნაკლებად მოიგებს ინგლისის კაპიტალიზმი, რომელიც გამოუვალ ქუჩაბანდშია შესული.

ასეთი მდგომარეობა ფრიად ცუდი იქნება იმ მხარისათვის, რომელსაც 2 მილ. უმუშევარი ყავს და რომლის ეკონომიური ცხოვრება წინსვლით არ მიდის.

მდგომარეობის სირთულე აიძულებს ინგლისის მმართველ წრეებს დაუბრუნდეს კანის პირობებს, მაგრამ „უკვე დაგვიანებით, რაც მეტად საზარალო იქნება მათთვის".

* *

„იზვესტია" სწერს: თუ დავუჯერებთ საფრანგეთის გაზეთებს ბრიტანეთის პრემიერი ფიქრობს მოაწყოს „ექსპერტული გამოცდა" საბჭოთა რუსეთისათვის. საფრანგეთის მევახშეებმა დაიჭირეს ეს წინადადება და შეეცადნენ მის გაფართოებას. „ტანი" მოითხოვს რუსეთისაგან ვალების წინასწარ ცნობას და რუსეთში უცხოელ ფინანსიურ დაწესებულებათა დაშვებას,—საქონლის თავისუფალ შეტან-გამოტანას.

„ჟურნალ დე დება" თავისი მხრით ამტკიცებს, რომ რუსეთმა უნდა დაუშვას უცხოელი კაპიტალისტები და ნება უნდა მისცეს მათ „წარმოება მოაწყონ თავისებურად ე. ი. კაპიტალისტური წესით.

ერთი სიტყვით საფრანგეთის ბურჟუაზია მოითხოვს სრულ გაუქმებას საბჭოთა ხელისუფლების საბანკო, საფინანსო, სავაჭრო და სამრეწველო კანონმდებლობისას.

თავის თავად იგულისხმება, რომ საბჭოთა რუსეთი უარყოფს ანტანტის ყოველგვარ გამოსაცდელ პრეტენზიას. საფრანგეთის დიპლომატია შეუძლია დღესასწაული გენუას კონფერენციის გადადების შესახებ.

თუ ასეთი ნაბიჯებით წავიდა საფრანგეთის პოლიტიკა, შეიძლება მან შესძლოს კონფერენციის სრული ჩაშლაც.

„ტანს" თუ დავუჯერებთ ინგლისის დიპლომატია უკვე დაადგა დათმობის გზას პარიზის კაბინეტის მიმართ.

რუსეთი სდგას კანის კონფერენციის ნიადაგზე და არავითარ შეზღუდვას როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო პოლიტიკაში არ დაუშვებს.

საბჭოთა რუსეთი დასთანხმდა დაუშვას უცხოეთის კაპიტალი ეკონომიური აღდგენისათვის და მისცეს მას მოქმედების საშუალება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთმა ხელი აიღოს თავისი პოლიტიკის პრინციპებზედ. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ უცხოეთთან შეთანხმებაზე მხედველობაში გვაქვს არა კაპიტულაცია, არამედ შეთანხმება.

თავისთავად ცხადია, რომ ლოიდ ჯორჯის პროექტი, რომელიც განავითარა საფრანგეთის პრესამ ნიშნავს კანის კონფერენციის დადგენილებათა გადახვევას, რომელიც ვერ განხორციელდება, რომლის განხორციელებისთვის ცდა უნაყოფოდ დასრულდება.

## ტფილისის ელექტრო-მექანიკური ქარხანა

სულ რამდენიმე დღეა მას შემდეგ რაც ყოფილ რადიო-ტელეგრაფის სამმართველოში მოხდა სადღესასწაულო გახსნა სახელმწიფო ელექტრო-მექანიკური ქარხნისა.

ეზოში მრავლად მოეყარა თავი მუშებს და მოსამსახურეებს, იყვნენ საგანგებოთ ამ დღისათვის მოწვეულებიო. სახეზე ყველას კმაყოფილების და მხიარულების ღიმილი ემჩნეოდა, მუშები დღესასწაულობდნენ, მუშები ზეიმობდნენ ამ დღეს. და მართლაც უფლება ჰქონდათ ამისი. მათ სულ მოკლე ხანში დააგვირგვინეს ეგეთი დიდი საქმე. ააგეს უზარმაზარი შენობა და ზედ საფუძვლიანად მოაწყეს იგი. ფოსტა-ტელეგრაფის და რადიოს მუშა-მოსამსახურენი ამისათვის არ იშურებდნენ ძალღონეს, კვირა-უქმე დღეებსაც კი არ აცდენდნენ...

დიახ, გასაოცარი ენერგია და შრომის მოყვარეობა გამოიჩინეს მათ.

ამ მხრივ აღსანიშნავია ძმების ყამარაულების ღვაწლი. ამ ქარხნის მოწყობის იდეა მათ ეკუთვნით, მათივე ხელმძღვანელობით და ახლო მონაწილეობით დამთავრდა ეს სიმპატიური და მეტად სასარგებლო საქმე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მექანიკ ალექსანდრე ყამარაულის თავდადებული და ენერგიული მუშაობა.

უკანასკნელმა მთელი ძალები ამუშავა ამის ირგვლივ, დაიხმარა მთავრობაც და სულ რაღაც სამი თვის განმავლობაში დაასრულა ქარხანა. მექანიკი ყამარაული იმის გარდა რომ საუკეთესო მცოდნეა თავის საქმისა, მეტად უბრალო და სადა პიროვნებაა. იგი არასოდეს არ ცდილა ესარგებლნა იმ პრივილეგიებით, რომლებსაც მას აძლევდა სამსახური, (ფოსტა ტელეგრაფის კომისრათ იყო) პირიქით, მას ვერაფრით ვერ გაარჩევთ დანარჩენ მოსამსახურეებისგან. პირველი იგი ყველაზე მძიმე სამუშაოს ეწევა, ყველაზე ადრე იწყებს და ყველაზე ბოლოს ისვენებს, მუშები მასთან სრულიად თავისუფლათ გრძნობენ თავს და იგიც ყველას აფასებს, პატივსა სცემს. ამისათვისაა რომ მის დაძახილზე ყველანი მზათ არიან ყოველთვის.

საზეიმო კრება გაიხსნა. მოსმენილ იქმნა მილოცვები მთავრობიდან, პროფკავშირიდან და სხვა დაწესებულებიდან. ბათუმის რადიო-სადგურის მოსამსახურეებმა ამ დღეს ჩაატარეს ქარხნის შემქმნელი მუშები დროში. მილოცვების და სიტყვების შემდეგ, სტუმრებმა ყამარაულის ხელმძღვანელობით დაათვალიერეს ქარხანა, რომლის შესახებაც თითონვე იძლეოდა ახსნა-განმარტებას. უნდა ითქვას, რომ ქარხანა ყოველმხრივ მდიდარი და დასრულებულია თუმცა მოკლე დროში მოეწყო იგი.

მას აქვს 27 სპეციალური განყოფილება, რომლებშიაც ყოველგვარი მასალები შეიძლება გაკეთდეს. თუ დღემდე ჩვენში შეუძლებელი იყო რთული რამეების შექმნა-შეკეთება, დღეის შემდეგ ეს დაბრკოლება ძლეული იქნება. ქარხანას უკვე მოსდის შეკვეთები მახლობელი რესპუბლიკებიდანაც კი. მარტო ტელეგრაფის სამმართველომ შეუკვეთა ერთი მილიონით ღირებული მასალები რომლის შოვნა წინად აქ შეუძლებელი იყო და რომელიც საზღვარ გარეთიდან შემოგვქონდათ, ქარხანა ჯერ კიდევ საჭიროებს დახმარებას მთავრობისაგან, უკანასკნელმა არ უნდა დაზოგოს ამისათვის თანხები, ეგვი არაა ქარხანა სულ მოკლე ხანში ისე გაიზრდება და გაფართოვდება, რომ არა თუ ხარჯებს დაფარავს—პირველ შემოსავლის წყაროთაც გადაიქცევა რესპუბლიკისათვის. ამის ნიშნები უკვე სჩანს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატმა მეტად რთული და სასარგებლო საქმე მოაგვარა. ამ მხრივ მან სხვა კომისარიატებს გადააჭარბა. ქარხნის შენობაშივე გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო მუშა-მოსამსახურეებისათვის, აგრეთვე მოეწყო წარმოდგენებისა და ლექციებისათვის დიდი დარბაზი (სცენით გამართული). ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ამ ახალ საქმეს და ვუსურვებთ მის ხელმძღვანელებს: კიდევ მეტის ენერგიით და სიყვარულით მოკიდებოდნენ საზოგადო საქმეებს. საზოგადოება ყოველთვის დაიხსომებს ასეთ თავდადებულ და სპეტაკ მუშებს და ღირსეულადაც დააფასებს მათ.

დამსწრე.

## ინგლისის პოლიტიკური კრიზისი

ლონდონი, 22 თებ. ლოიდ ჯორჯის ორგანიზაცია „დეილი ქრონიკლი" გვატყობინებს, რომ კოალიცია გულმოდგინეთ ემზადება საერთო არჩევნებისათვის. ხელახალი არჩევნები ემლანდელი საზოგადოებების პალატისა უნდა შემდგარიყო 1923 წ. დეკემბერში, მაგრამ ლოიდ ჯორჯი და მომხრეებმა დაადგინეს დააჩქარონ არჩევნების დროის გაზეთების უმრავლესობა არჩევნების დროთ ასახელებენ თებერვალს, მაგრამ ამის გამო ეს არჩევნები რამდენადმე იყო გადადებული. ლოიდ ჯორჯი ფიქრობდა ერთხელ კიდევ ეთამაშა ევროპიული მხსნელის როლი და გამოეყენებინა ინგლისის საერთაშორისო მდგომარეობა. ბრეუსელფორდის სიტყვით, ლოიდ ჯორჯი ფიქრობს, „კანაში გავრცელებული ხმა ევროპის დახსნის შესახებ, როგორც საარჩევნო ლოზუნგი და უნდა გამოვიდეს ამ ევროპის მხსნელად, რომლის დანგრევის შესახებაც ის დიდ უნარს იჩენდა, განსაკუთრებით ვერსალში".

„დეილი ჰერალდი" მაინც აღნიშნავს, რომ მთავრობას უკვე აღარ შეუძლია, ააბას თვალები საზოგადოებას, აღარ შეიძლებს დაიჩრდილოს ის ფაქტი, რომ სახელდობრ ლოიდ-ჯორჯის მთავრობამ გამოიჩინა უნარი მხარის საშინელ ისტორიის დატრიალებაში—უმუშევრობაში.

ინგლისური გაზეთების სიტყვით, ცხოვრების პირობები ინგლისში ხელსაყრელია მუშათა კანდიდატებისათვის პარლამენტის დამატებითმა არჩევნებმა მოგვცა მუშათა კანდიდატების ბრწყინვალე გამარჯვება, სპეციალისტებიც კი ამტკიცებენ, რომ მომავალ ახალ საპარლამენტო არჩევნებში მუშათა პარტია ორჯერ გაამრავლებს თავის წარმომადგენლებს.

ლონდონი. 22 თებერვალი. ლონდონის გაზეთები აღნიშნავენ, რომ საზოგადოებათა პალატის დაშლამ და ახალი არჩევნების დანიშვნამ გამოაცოცხლა პარტიათა შორის პოლიტიკური ბრძოლა. „დეილი ჰერალდი" მიუთითებს, რომ კონსერვატორების ლიდერმა იონგსენმა მოითხოვა რეფორმის გატარება ლორდთა პალატაში ჯერ კიდევ პარლამენტის დაშლამდის, ცნობისმოყვარეობით უნდა აღინიშნოს, რომ კონსერვატორები ახალი არჩევნების მიმართ დგანან აშკარა ოპოზიციაში ლოიდ ჯორჯის წინააღმდეგ. კონსერვატორები თავის დეკლარაციაში აღნიშნავენ, რომ არ აქვს საფუძველი ძალდატანებით არჩევნებს საზოგადოებაში, ვინაიდან მრეწველობა არის დეპრესიის მდგომარეობაში, უმუშევრობა ძლიან სერიოზულია. ამის გამო კონსერვატორები ფიქრობენ ენერგიული პროტესტი განაცხადონ წინასწარი არჩევნების წინააღმდეგ. დამოუკიდებელი ლიბერალები ეწევიან ენერგიულ კამპანიას კოალიციის წინააღმდეგ. სერიოზული ოპოზიციისა და საერთაშორისო მდგომარეობის სერიოზული მიმდინარეობის გამო, ლოიდ ჯორჯმა გადაწყვიტა დროებით გადასდვას არჩევნები საზოგადოებათა პალატის დაშლის დროის თანახმად.

# სრულიად საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა

(მერვე სხდომა მარტის 2-ს)

## სადგილ-მამულო პოლიტიკა

### (ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება)

ამხანაგებო, მე მოგახსენებთ სადგილ-მამულო პოლიტიკის და ჩვენ სოფლის მეურნეობის შესახებ. თქვენ უკვე ხელთ გაქვთ კომისარიატის ანგარიში, აგრეთვე თქვენ იმ ყრილობის ანგარიში, რომელიც ჩვენ ამ რამოდენიმე კვირის წინად გვქონდა მოწვეული სადგილ-მამულო პოლიტიკის და ჩვენი მეურნეობის გამო, აგრეთვე გაქვთ ხელში ის თეზისები, რომლებიც ამას წინად მიიღო ჩვენმა პარტიულმა ყრილობამ და რომლებიც ამავე დროს ერთხმად მოწონებული იყო მიწად მოქმედების კომისარიატის მიერ მოწვეულ ყრილობაზე. ამხანაგებო, მე ბევრს არ შევჩერდები ამ საგანზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ თვითეულ თქვენგანს აინტერესებს დარგი ჩვენი მოქმედებისა, რომელზედაც მე დღეს აქ მოხსენებას ვაკეთებ. ჩვენი სადგილმამულო პოლიტიკა, ე. ი. მიწის საკითხის გადაჭრა—ეს თავი და თავი საგანია დღეს, დიდი თავსამტვრევი საგანი და ამას დიდი მეცადინეობა უნდა. სამი წლის გამოცდილებამ დიდი მასალა მოგვცა იმისთვის, რომ ბევრი შეცდომები აგვეცილებია თავიდან. თქვენ იცით, რომ მიწის საკითხი მენშევიკების დროს გადაუჭრელი დარჩა. როცა საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, აუცილებლად ამ საგანს მთავარი ყურადღება უნდა მიქცეოდა. როგორ და რა გზით წავიდეთ? აქ რამოდენიმეჯერ მოგვიხდა დამოუკიდებლად გვეწარმოებინა ეს პოლიტიკა. ჩვენ ვხედავდით, რომ ჩვენში წვრილ გლეხკაცურ მეურნეობას დიდი ადგილი უჭირავს. გადატრიალება რომ მოხდა ის იყო ის ხანა, როდესაც ხვნა-თესვა კარგა ქონდა მომდგარი. თქვენ იცით რა აურ-ზაური, რანაირი ატმოსფერა იყო შექმნილი. არავინ არ იყო დარწმუნებული, რა იქნებოდა, შერჩებოდა ვისმეს ის მიწა, რომელზედაც ის მუშაობდა და სცხოვრობდა, თუ მას წაართმევდით. ამისათვის, მაშინვე გამოვაცხადეთ, რომ ისინი, ვინც თავის შრომით სცხოვრობენ, ყველანი თავის მფლობელობაში დარჩებიან. ჩვენ ამნაირად მისთვის მივუდექით ამ საკითხს, რომ მაშინ არევდარევის გამოწვევა შეაფერხებდა დათესვის საქმეს! ის რეფორმა, რომელიც ჩვენ მოვახდინეთ 6 აპრილს, სწორედ ზედგამოჭრილი შეიქნა გლეხკაცობის უმრავლესობისათვის, მშრომელ ნაწილისათვის ეს მისაღები შეიქნა და ჩვენც სწორედ ისე მივუდექით საკითხს, როგორც ამას თხოულობდა ახალი ეკონომიური პოლიტიკა. მაგრამ აქ იყო მეორე მხარე—ეს არის რეფორმის ცხოვრებაში გატარება. თქვენ იცით, რომ რეფორმის გატარება მეტად მძიმე საქმეა. ახლად უნდა მოეწყოს მიწის საკითხი, მიწის სარგებლობის წესი, რომელიც არა თუ ძველთაგან არსებობდა, არამედ რომელიც გამჯდარია გლეხკაცობის და, საზოგადოდ, ხალხის ძვალსა და რბილში, და აი ეს უნდა შეიცვალოს ახალი წესით. რა თქმა უნდა, ამის ცხოვრებაში გატარება ერთი დაკვრით, ერთი ხელის მოკნევით, ყოვლად შეუძლებელია. ამას უნდა მომზადება, გამოკვლევა იმისა, თუ სად რა სჭირია, სად არის ზედმეტი მიწა, ვის რა აკლია, საიდან უნდა გადმოვასახლოთ, სად ჩავასახლოთ. ყველა ეს წინდაწინ უნდა იყოს გამორკვეული, რომ რეფორმა გატარდეს. მაგრამ ჩვენ ვერც ამით დავკმაყოფილდით. საჭირო იყო, რომ გლეხკაცობის იმ ნაწილისათვის, რომელიც ამდენ ხნის განმავლობაში სხვის მიწას ამუშავებდა, სხვის მიწაზე ღვრიდა ოფლს, რომ იმისთვის მიგვეცა საშუალება, გვეთქვა, გამოგვეცხადებინა არა სიტყვით, საქმითაც, რომ ის ამ მიწას სთვლიდეს როგორც თავის საკუთრებას, რომ მას არავინ მოდავე არა ჰყავს, ის მიწა, რომელზედაც ის იხდიდა ღალას, იმისია. ამ საგანზე არ შევჩერდებით. ვიტყვი მხოლოდ, რომ აქ ბევრ გაუგებრობას და უსიამოვნებას ჰქონდა ადგილი. უნდა განვაცხადო, რომ სამწუხაროდ, ჩვენი დეკრეტები, ცირკულიარები, ინსტრუქციები გლეხკაცობას არ ესმოდა, ეს პირველი, მეორე სამწუხარო მდგომარეობა იყო ის, რომ ადგილობრივ ხელისუფლების ხელმძღვანელებს ჩვენი დეკრეტები მიწის შესახებ ან არ ესმოდათ, ან წაკითხვაც არ უნდოდათ, რომ ცხოვრებაში გაეტარებიათ. იყო შემთხვევები ამისთანა ბოროტმოქმედებისა: ზოგი მოდიოდა კომისარიატამდე ზოგი კი, შეიძლება, არ მოდიოდა და, შესაძლებელია, რომ დღესაც ბევრი არ ვიცით.

ის, რაც ჩვენ დროებით მოვაწყვეთ, რეფორმისათვის მკვიდრ ნიადაგს მხოლოდ მომზადება იყო, მაგრამ ამით ვერ დავკმაყოფილდებით. ჩვენ უნდა მოვახდინოთ საერთო გადასინჯვა-გადაყოფა. თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, რომ ეს უდიდესი ცვლილებაა ეს დიდი ცვლილებაა, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არ მომხდარა ამას წინ და მომზადება უნდა. ეს პირველ-დაწყებითი მუშაობა უკვე დამთავრებული არის. დღეს ჩვენ ხელთ გვაქვს მართლაც ძვირფასი მასალა თვითეულ სოფლისა. ამას წინად ჩვენ მოვიწვიეთ მიწის სამაზრო განყოფილებების და ადგილობრივ გლეხობის ყრილობა, რომელზედაც სწორედ ასე იყო დაყენებული საკითხი, თუ როგორ უნდა მოხდეს მიწის განაწილება. აი საქმე რაშია, ჩვენ გვაქვს დღეს სტატისტიკური ცნობები, როგორც მცხოვრებლების, ისე თვით მიწის რაოდენობის შესახებ მაზრების, რაიონების და სოფლების. ამავე დროს ჩვენ გვაქვს შემუშავებული თვითეულ სოფლისთვის საშუალო ნორმა: რამდენი უნდა ქონდეს გლეხს მიწა, რომ მას შეეძლოს გაუჭირვებლად ცხოვრება, რომ შეეძლოს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება, რომ არ მიდიოდეს მუდამ საქირაოზე და არც ჰყავდეს დაქირავებული მუშა.

უნდა მოგახსენოთ, ამხანაგებო, რომ ეს მეტად საძნელო საქმეა. ყრილობამ აირჩია კომისია მცოდნე პირებისაგან. მას გადაეცა მთელი ეს მასალა. დღეს ეს ნორმა გამომუშავებულია. მე მაქვს აქ პროექტი ამ ნორმებისა. თქვენ არ იფიქროთ, რომ ჩვენ ეხლავე შეუდგებით ამის განხილვას, ეს მეტად რთული საქმეა, მთელი საქართველო დაყოფილია რაიონებათ, აი რაიონათ. მიწები არის დაყოფილი კატეგორიებათ. ნიადაგის, თესლების, ჰავის და მდებარეობის კვალობაზე. ეს ნორმები ამ დღეებში გაზეთებში იქნება გამოქვეყნებული, საჭიროა, რომ განსაზღვრულ ვადაში თვითეულ მაზრაში ეს ნორმები ხელახლა იქნეს განხილული თვით გლეხკაცობის წარმომადგენელთა კრებებზე, რომ შემდგომ ამისა, ისინი დამტკიცებული იქნენ საბოლოოთ.

ამავე დროს გამომუშავებული არის დებულება თუ როგორ უნდა მოხდეს მიწის მოწყობის საქმე. სამწუხაროთ ვერ მოვასწარით ამის დაბეჭდვა და დარიგება. ცოტა ხანში უნდა იქნეს საბოლოოდ დამტკიცებული და მიღებული. ახალი დებულება შემდეგში მდგომარეობს: (ვკითხულობ) „მიწათ-მოწყობის მიზანია საერთოდ მოაწესრიგოს მიწით სარგებლობა ისეთ საფუძვლებზე. რომ სოფლის მუშას გაუადვილოს შრომის საუკეთესო შედეგის მიღწევა.

ამ მიზნის მიწათ-მოწყობის სამოქმედო საგანს შეადგენს: კომუნალურათ, საამხანაგოთ, არტელით ან საზოგადოებით მიწის დამუშავების იდეის გავრცელება და კოლექტიური მეურნეობათა ორგანიზაცია, მიწის მუშისათვის საკმაო მიწის მიჩენა მჭიდროდ დასახლებულ სოფლების განტვირთვა და ახალშენების მოწყობა, საზამთრო და საზაფხულო საძოვრების მოწყობა და მიწის დაქუცმაცების, მიწის ნაკვეთების უზრუნველი ფორმის დათი მეზისაგან სიშორის თავიდან აცილება".

აი საერთო მიზანი, საერთო დებულებები. ამ ახლო ხომავალში მოასახლდამე, თანახმად ამ დებულებისა რომელიც წინდაწინვე გამოქვეყნებული იქნება და ეცნობება მთელ ხალხს, კომისარიატი შეუდგება ამ გეგმით მიწის საქმის მოწყობას მთელს რესპუბლიკაში. ჩვენ ვარაუდი გვაქვს, რომ ეს მუშაობა მოესწრება ერთი წლის განმავლობაში, ეს მუშაობა დასრულებული ჯერაც არ არის რუსეთში. ამხანაგებო, მე არ შევეხები თვით კომისარიატის მოქმედებას. აქ მე მოვიხსენიებ მხოლოდ რამოდენიმე დარგს მისი მოღვაწეობისა, მაგალითად სამხედრო საქმე, ადგილობრივი დახმარების საქმე, კოლექტიური მეურნეობა სახელმწიფო მამულები, საცდელი მინდვრები, და სხვა დაწესებულებები, კულტურული დაწესებულებები, რომელთა მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს, გააცნოს ხალხს მეცნიერული მეთოდები აგრონომიული დახმარებისა და სამეურნეო საქმიანობისა. საქმე იმაში არის, რომ ამ ნიადაგზე ჩვენ ბევრი დაბრკოლება გვაქვს. უნდა მოგახსენოთ, რომ სამეურნეო იარაღები ჩვენ ძლიერ ნაკლებად გვაქვს, თვითონ აგრონომიული ძალებიც ნაკლებათ არის. მაგრამ რაც ყველაზე უფრო დამაბრკოლებელი არის ჩვენთვის, ეს არის ის, რომ მუდამ მოკლებული ვიყავით საშუალებას, სახსარს. ამ სახსრის უქონლობამ შეაფერხა ის დახმარებაც კი, რაც ჩვენ შეგვეძლო აღმოგვეჩინა, უფრო შემთხვევაში გასული წლის განმავლობაში აგრონომიული დახმარების მხრით მაზრებს გადაეცათ ორჯერ სხვა და სხვანაირი გუთნები. ჩვენ დავარიგეთ შარშან მთელ რესპუბლიკაში სამასზე მეტი გუთანი. ეს დანაწილებულია თვით მაზრების სიდიდის მიხედვით. ჩვენ გვაქვს საწყობში, საიდანაც გლეხკაცობას შეუძლიან [illegible] თვის არის [illegible] ბული. მე [illegible] რომ [illegible] ბის მოღვაწეობაზე, ვინაიდან თქვენ დაწვრილებით გაეცნობით იმ ანგარიშებს, რომლებიც გაქვთ მე არ შევჩერდები, როგორც უნდა მოეწყოს ჩვენში ეს მიწად-მოქმედების საქმე, რა პრინციპებზე უნდა იყოს აგებული. ეს გაცნობილი გაქვთ იმიტომ, რომ რამდენიმეჯერ გამოქვეყნებული იყო გაზეთებში და დარიგებული იყო ის თეზისები, რომელშიაც აღნიშნული არის მიწადმოქმედების მოწყობის საქმე ჩვენი დღევანდელი პირობებთან შეფარდებით. ჩვენ ვამბობთ, რომ მიწის კერძო საკუთრება აღარ არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყიდვა-გაყიდვა სამუდამოდ მოსპობილია, მაგრამ იმავე დროს ჩვენ ვამბობთ, რომ უნდა იყოს ერთნაირი სიმტკიცე მიწის სარგებლობისა, ერთნაირი ურყევლობა იმიტომ, რომ მიწის მუშა თუ არ გრძნობს ის ნაჭერი მიწისა, რომელზედაც ის მუშაობს, მას ეკუთვნის, და რამდენიმე წლის შემდეგ მას ხელიდან არ გამოეცლება, არ ჩამოართმევენ, იგი მას არ გააუმჯობესებს. ყოვლად შეუძლებელია, რომ ამის ჩამორთმევას შეურიგდეს გლეხკაცი. მიწის მოვლა და პატრონობა თხოულობს, რომ მან გამუდმებით იმუშაოს იმ ნაჭერ მიწაზე, რომელიც მის სარგებლობაში და განკარგულებაშია: გლეხკაცი მუშაობს მხოლოდ მაშინ, თუ დარწმუნებულია, რომ ეკუთვნის არამც თუ დღეს, არამედ შემდეგშიაც. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ ერთგვარი ურყევი წესები უნდა დავაწესოთ. ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ გლეხკაცს, რომელიც სარგებლობს მიწით, მას საშვალება აქვს იმით ისარგებლოს მანამ, სანამ თვითონ არ იტყვის უარს და არ დაარღვევს საერთო წესებს. ამავე დროს ჩვენ ვამბობთ, ამხანაგებო, რომ საერთოდ დღეს მიწის მუშაობის, სოფლის მეურნეობის დარგში გამოცდილება გვეუბნება, ამას რუსეთის მაგალითიც ამტკიცებს, რომ უნდა ავიღოთ გეზი მუშათანა გლეხკაცზე, რაც შეიძლება შეუწყოთ ხელი მას, განვავითაროთ მისი მეურნეობა. რაც შეეხება გლეხკაცობის ღარიბ ნაწილს, რომელიც დაბლა სდგას, სახელმწიფომ მიზნად უნდა დაისახოს, რომ ეს დღემდე დაჩაგრული ნაწილი გლეხკაცობისა ამოვიყვანოთ გაჭირვებიდან და მივცეთ საშვალება, რომ ის შეიქნეს საშუალო დონეზე მყოფი მეურნეთ. სოფლის მეურნეობაში ცხვილი წარმოება, კერძო მსხვილი წარმოება, ეს დაუშვებელი არის. ვინაიდან ეს იქნება ჩვენი რეფორმის საბოლოო გაუქმება. ჩვენ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ეს მსხვილი წარმოება მხოლოდ იმ სახით, თუ ის იქნება თვით სახელმწიფოს ხელში და ან თუ იქნება კოლექტიური მეურნეობა, საამხანაგო, კოოპერატიული, ე. ი. შემდგარი არის გლეხკაცებისაგან. აი ასეთი მსხვილი მეურნეობა სოფლად ამნაირად გვაქვს წარმოდგენილი. არის კიდევ ერთი მწვავე საკითხი, რომელიც ასე თუ ისე უნდა იქმნას განსაზღვრული. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჩვენ რომ ვამბობთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება რამოდენიმეთ აყვავდეს, უნდა დავაინტერესოთ აქ კერძო მწარმოებელი გლეხები. სწორედ ეს საშვალო თუ ღარიბი წვრილი გლეხკაცობა უნდა დავაინტერესოთ პირადად, ვინაიდან თუ დავაინტერესებთ, მაშინ იგი გააუმჯობესებს თავის წარმოებას. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს აუცილებლად საჭირო არის. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კოლექტიური მეურნეობა, სასოფლო კომუნები ჯერ-ჯერობით ვერ პოულობენ ამ გლეხკაცებში ნიადაგს.

რომ ჩვენ არ შეგვიძლია სავსებით დავეყრდნოთ ამ კომუნებზე და ვთქვათ ამის საშვალებით შეგვიძლიან მეურნეობის აყვავება, ამისათვის ჩვენ ვამბობთ, რასაკვირველია იგულისხმება, რომ ჩვენ ყოველ ღონისძიებას ვხმართ ხალხში გავავრცელოთ, დავანახოთ მაგალითით, რომ შეერთება ძალით, შეერთება წვრილ-წვრილი ნაჭრების, რათა სასოფლო მეურნეობამ მეტი ნაყოფიერება გამოიღოს, სასურველია. მაგრამ ჯერ კიდევ ეს მომავლის საქმეა. დღეს რომ გავამრავლოთ სამეურნეო საგნებს რაოდენობა შევქმნათ დიდი მოსავალი, პური და სხვა. აუცილებლად საჭიროა, რომ დავაინტერესოთ კერძო მეურნე, პირადათ დავაინტერესოთ ის. აი უმთავრესი გეზი დღევანდელი ახალი ეკონომიური პოლიტიკისა. ჩვენი გაჭირვება დღეს აიხსნება იმით, რომ ნაკლები პური გვაქვს, ნაკლები ხორცი გვაქვს და სხვა. გადიდება კი ამის შეიძლება მით, რომ დავაინტერესებთ კერძო პირს და საშუალო გლეხკაცს და ის რომ მეტ ქონებას შეიძენს, რადგან ის პირადათ

დაინტერესებული იქნება. ეს რასაკვირველია სახელმწიფოსთვის სასარგებლოა. არის სხვა მწვავე კითხვა, იჯარის კითხვა. არის აგრეთვე დაქირავებული შრომის გამოყენების საკითხი; ის რომ ვსთქვათ, რომ დაქირავებული შრომის გამოყენება არ შეიძლება, იჯარით მიწების გაცემა არ შეიძლება, ეს მართალია და სისწორით გამოხატავს ჩვენი რევოლუციის დედა-აზრს. მაგრამ აქ აუცილებლად საჭიროა გამონაკლისის დაშვება. ავიღოთ, მაგ. უმწეო დარჩენილი ოჯახები, რომელთაც არ შეუძლიათ, არ ყავს მუშა-ხელი, ან ავათ გახდა ან ხარი არა ყავს, მაგრამ მის მეზობელს კი შეუძლია თავისი მიწებიც დაიმუშაოს და იმისიც, ერთი სიტყვით შეუძლია მეტი იმუშაოს და ამიტომ ჩვენ უნდა მივცეთ ამას ნება, რომ დაიმუშაოს მეზობლის მიწა იჯარით, ხოლო ამას უნდა ერთგვარი კონტროლი, ერთგვარი ზედამხედველობა ადგილობრივ ორგანოების მხრით, რომ არ მოხდეს ბოროტმოქმედება. ასევე ითქმის დაქირავებული შრომის გამოყენებაზე, რომ ვსთქვათ რომ დაქირავებულ შრომის გამოყენება, როგორც წინათ ბატონობდა, ეს შეუძლებელი არის, რადგანაც შეუძლებელი არის ისეთი შემთხვევა, როცა თუ ეს საქმე [illegible] არ შესრულდა, მაშინ ის მთელი წლით დაიკარგება და რადგანაც ეს საზარალო იქნება თვით სახელმწიფოსათვის, ამიტომ ამ შემთხვევაში საჭიროა არის ნება დართული იქნეს დაქირავებული შრომის გამოყენება, რომ ერთი ციდა მიწაც არ დარჩეს დაუმუშავებელი. რადგანაც წინადმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევსძლებთ სახელმწიფოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ე.ი. შევსრულებთ ჩვენი ვალდებულების, ე. ი. სოციალისტური ვალდებულების, რკინის გზის, წითელი ჯარის და სხვის შენახვას და თქმა უნდა აქ, ამ საქმეში უნდა იყოს დაწესებული ერთგვარი კანონიერება, უნდა იქნეს დაცული ერთგვარი წესიერება, რომელიც შეეფერება საბჭოთა ხელისუფლებას.

(დასასრული იქნება).

# ახალი ამბები

— **ნოტიოს ლოდუას ახეულის იუბილეი.** ფოთიდან ჩვენმა რედაქციამ მიიღო შემდეგი დეპეშა: „ფოთში ყოფილ კერძო პროფესიონალურ პროგიმნაზიაში კურს დამთავრებულ ქალთა ინიციატივით განზრახულია ამ სკოლის დამაარსებელ და მათ აღმზრდელ ნოტიო ლოდუას ახეულს გადაუხადონ იუბილე მისი ოცდა ხუთი წლის თავდადებული მოღვაწეობისათვის ამა წლის რვა აპრილს".

— **გრ. ჩარკვიანის გარდაცვალება.** მარტის 7 საღამოს ხუთ საათზე, ხაშალადეებში, თავის საკუთარ სახლში მოკლე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მწიგნობარი გრიგ. ვასილის ძე ჩარკვიანი. გრიგოლ ჩარკვიანმა და ზაქარია ჭიჭინაძემ, ქალაქ ტფილისში, 1878 წ, ქაშვეთის ეკლესიის შენობაში პირველად გახსნეს ქართული წიგნის მაღაზია, ამ მაღაზიის არსებობით მათ დიდად შეუწყვეს ხელი ქართულ წიგნების მეჩდვის გავრცელების საქმეს. გრიგოლ ჩარკვიანს აქვს გამოცემული ბევრი ქართული წიგნები; ქართულ ენაზე პირველად მან დაიწყო კედლის კალენდრის გამოცემა. ერთ დროს მას ქართული სტამბაც ჰქონდა და 1907 წ. მონარქიული მთავრობისაგან დასჯილიც იყო გადასახლებით. გარდაიცვალა 70 წლისა.

— **გაერთიანებული საზეიმო სხდომები.** მარტის 12, დღის 11 საათზე, სახელმწიფო ოპერის შენობაში შესდგება გაერთიანებული საზეიმო კრება პლენუმების: ტფილისის საბჭოსა და წითელ არმიელების საბჭოსი, პროფკავშირების საბჭოსი, საქართველოს [illegible] კომიტეტისა და ჰ[illegible] ჯარის ნაწილების წარმომადგენლებისა. დღის წესრიგი: 1, წითელი არმიის 4 წლის თავი, 2, თებერვლის რევოლუციის 5 წლის თავი, 3, პ[illegible] ნაწილებზე შეფობის დაკანონება.

— **დაშვებულთა მთავარი კომიტეტის გადასვლა.** ს. ქ. დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი გადავიდა მიწათმოქმედების კომისარიატის შენობიდან რუსთაველის პროსპექტზე, რადუგელოვის ყოფილ სახლში № 24, სადაც იღებენ ყოველგვარ შემოწირულებებს საქ. დამშეულთა სასარგებლოდ.

— **ხამდლეულის გადადება.** საქართ. დამშეულთა დახმარების საბლეულის, რომელიც დანიშნული იყო მარტის 11, 12 და 13, გადადებულია 18, 19 და 20 მარტისათვის.

— **ტერენტი გრანელის წიგნი.** დაიბეჭდა და ამ დღეებში გასაყიდათ გამოვა პოეტი ტერენტი გრანელის ლექსების კრებული „სულიდან საფლავებში". წიგნი 36 გვერდიანია და ღირს ათი ათასი მან.

— **მევენახეობა.** მევენახეობისა და ღვინის დამზადების გასაცნობლად, რუსეთიდან ჩამოვიდა რუსეთის ღვინის საგაჭრო საზოგადოების რწმუნებული, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრება ელიზავეტპოლში.

— **ახალი მუზეუმი.** განათლების განყოფილება მოაწყობს მუზეუმს რომელშიც შეკრებილი იქნება სკოლის გარეშე ყველა ნამუშევარი.

— **მონადირეთა წლიური კრება.** 19 მარტს მოწვეულია მონადირეთა წლიური კრება. ამ კრებაზე დასმული იქნება საკითხი კავშირის რეორგანიზაციისა.

— **მეთევზეობა.** სპეციალისტმა მეთევზემ და მონადირე მარკოვმა მიწათმოქმედების კომისარიატში შეიტანა განცხადება, რომ ალიკრძალოს დინამიტის ხმარება თევზაობის დროსა რაც ფრიად აზარალებს თევზების გამრავლებას.

— **ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია.** დღეს მარტის 2 ს, დღის 2 საათზე საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს, სასახლის თეთრ დარბაზში გაიხსნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კონფერენცია.

# უცხოეთი

### გენუას კონფერენციის გარშემო

**მოსკოვი.** 8 მარტ. ინგლისის გაზეთებში გამოქვეყნებულია მემორანდუმი, რომელიც საფუძვლად დაედო ლლოიდ ჯორჯის და პუანკარეს მოლაპარაკების ბულონის თათბირზე. მოლაპარაკების მთავარი პუნქტები შემდეგია: 1. საკითხი საზავო მოლაპარაკების შესახებ არ იქნება გახილული გენუაში. 2. საბჭოთა რუსეთის მონაწილეობა გენუას კონფერენციაზე არ იწვევს თავის თავად მისი (რუსეთის) უცილებელ პოლიტიკურ აღიარებას. 3. კონფერენციის გახსნისას არჩეული იქნება ეკონომიური კომისია რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის პირობების გამოსარკვევად; რომლის საფუძველზე ცალკე სახელმწიფოებს შეუძლიათ მეთანხმება მეკავშირე რუსეთთან. 4. რუსეთის ვალის საკითხი გადადებულ უნდა იქნას კონფერენციის დასრულებამდე, კონფერენციის შედეგების მიხედვით. 5. ტიროლ ამტანტა და პოლონეთი დებულობენ მონაწილეობას ლონდონში საექსპერტო მუშაობაში ხანგრძლივად ოფიციალურად. 6. ხალხთა ლიგა და შრომის საერთაშორისო ბიურო დაესწრებიან კონფერენციას დამოუკიდებლად გამოუსვლელად. 7. გენუის კონფერენცია განსაკუთრებულ რეზოლიუციით მოუწოდებს გაზეთის სახელმწიფოებს თავი შეიკავონ თავდასხმისაგან.

**მოსკოვი.** 8 მარტი. ლონდონიდან მარტის 3-ს გვაუწყებს: ბელგრადში მოსულ ვრანგელს შეხვდნენ პაშიჩის მთავრობის წარმომადგენლნი. მთელ სამხრეთ სლავიაში ამ ჟამად სწარმოებს რუს ლტოლვილების რეგისტრაცია იმ მიზნით, რომ შექმნან არმია ვრანგელის მეთაურობით არმიის უზრუნველყოფა საერთაშორისო სესხის საშუალებით. იმედი აქვთ რუსეთის გემების მიღების, რომელნიც ამ ჟამად იმყოფებიან სამფრანგეთის ხელში.

**რომი.** 7 მარტი. ბელგრადში მოსულ ვრანგელმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ იგი არ უარყოფს „თავის განზრახვას შეადგინოს არმია რუსეთის ბოლშევიკებთან ბრძოლების დაწყების მიზნით". ბელგრადის პრესა ძლიერ სკეპტიკურად უყურებს ვრანგელის ასეთ განცხადებებს.

**ბორდო.** 7 მარ. იტალიის მთავრობამ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ ჩაერიოს ფიუმეს ამბებში და აღადგინოს იქ წესრიგი. ფიუმის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ცანელლიმ დასდო ხელწერილი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ იგი არ მიიღებს შემდეგში არავითარ მონაწილეობას ფიუმეს პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი განთავისუფლებულ იქმნა დატყვევებისაგან და მიიღო მან ნებართვა ფიუმეს საზღვრების დატოვების შესახებ.

**რომი,** 7 მარტი. ეროვნულ თავდაცვის კომიტეტმა ფიუმეში ტელეგრაფით მიმართა იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრს თხოვნით, რათა არ ჩაერიოს იტალიის ჯარი და კარაბინერები ფიუმეს საზოგადოებრივ საქმეებში.

**რომი,** 7 მარტი. „მატენი" იუწყება: ლლოიდ ჯორჯიმ, კონსერვატორების გავლენით, უარი განაცხადა მთავრობიდან გასვლაზე.

**პარიზი.** 8 მარტ. იტალიის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი თანახმაა 10 აპრილის გამოცხადებისა კონფერენციის გახსნის დღედ. კლერიკალური გაზეთები მოითხოვენ კონფერენციის გახსნას აღდგომის შემდეგ. პარიზის და იტალიის პრესა აღნიშნავს, რომ უკიდურეს შემთხვევაში კონფერენციის მუშაობის შეწყვეტა შესაძლოა აღდგომის დღეებში.

**მოსკოვი.** 9 მარტ. ლონდონიდან იუწყებიან 6 მარტის თარიღით: პეტლიურა რაღაცას „ფიქრობს" გენუის წინაშე, ამზადებს რა მოსკოვის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლას უკრაინაში. პოლონეთმა ნება დართო პეტლიურას მთავრობას პოლონეთის ტერიტორიაზე დარჩენის და აძლევს მას (პეტლიურას) სუბსიდიას 30 მილ. მარკას თვეში. ტარნოვსა, პეტრაკოვსკსა და კალიშში თავმოყრილი ბანაკები გადაცემულია პეტლიურის მთავრობის განკარგულებაში.

**ბორდო.** 8 მარტ. საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა მთავრობის უკანასკნელ სხდომაზე გააკეთა მოხსენება საგარეო საქმეთა მინისტრის მომავალ თათბირის შესახებ. ეს თათბირი ეთანაბრება ფინანსთა მინისტრების თათბირს. შეერთებულ თათბირზე გაირჩევა საკითხები კონტრიბუციის შესახებ გერმანიასთან და საერთაშორისო კონსორციუმის შესახებ. ამ თათბირს ექნება მოსამზადებელი ხასიათი გენუის კონფერენციის მიმართ.

**მოსკოვი.** 9 მარტი. რიგიდან 6 მარტის თარიღით იტყობინებიან: ვარშავიდან მოსულ ცნობებით, პოლონეთის მთავრობა [illegible] იზრდება გენუას კონფერენციისათვის, რომლისათვისაც ითვალისწინებს; 1) წარადგენს მოკავშირეთა განკარგულებაში პოლონეთის მოღვაწეებისა, რომლებსაც იმედი აქვთ გამოჩენილი ადგილები რუსეთის საზოგადოებრივ, სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში; 2) თავის თავზე რუსეთის ნახშირით უზრუნველყოფის აღებას; 3) რუსეთისათვის დანიშნულ მაღაზიების ორგანიზაციას საქონლისათვის.

**პარიზი.** 8 მარტი უკანასკნელ დღემდის განმავლობაში ბელფასტში მოხდა ახალი შეტაკებები. მოკლულია 2, დაჭრილია 25.

**რომი** 8 მარტი „კორიერე დ'იტალია" იუწყება, რომ მთავრობის ცნობების თანახმად, მდგომარეობა ფიუმეში გაუმჯობესდა.

**პარიზი.** 8 მარტი. ეროვნულ თავდაცვის კომიტეტმა ფიუმეში გამოაცხადა ფიუმეს იტალიასთან შეერთება. დაჭრილების რიცხვი, ქალაქში ბრძოლის დროს, აღწევს 40 კაცს.

**ბერლინი.** „ფოსიშე ცეიტუნგი" იუწყება, რომ დამოუკიდებელთა ყრილობაზე შვეიცარიის სოციალისტების წარმომადგენელმა დეინგარდმა განაცხადა, რომ შვეიცარიაში ითვლება 160 ათასი უმუშევარი, ამ რიგად უმუშევრები იმყოფება ერთ მილიონზე მეტი შვეიცარიის მუშებისა. რვა საათის სამუშაო დღე ფაქტიურად გაუქმებულია, მუშათა მდგომარეობა მეტად მძიმეა.

**ბორდო.** 8 მარტი „დეილი ჰერალდი" იუწყება, რომ ვრანგელი „სჩანს მარტის ემზადება რაღაც სამხედრო ოპერაციებისათვის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ცხადია, ამით არ ხდება სამხედრო საშუალების ფრონტის მიერ დაწყებული.

**მოსკოვი.** 9 მარტი, სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში სტოკჰოლმში წაკითხულ იქმნა მოხსენება ევროპის ეკონომიური მდგომარეობისა და განსაკუთრებით რუსეთის შესახებ. მოხსენებამ მიიპყრო პრესის და ეკონომიურ წრეების ყურადღება. მოხსენებაში აღნიშნულია კაპიტალის დაბანდების სარგებლიანობა რუსეთში, სადაც კონცესიების გაცემის პირობები წარმოადგენს მეტ მოგებას დამქირავებელისათვის, გარდა ამისა არის სხვა სარგებელიც: მუშა ხელის სიიაფე, უამრავი ბუნებრივი სიმდიდრე და სხ.

**მოსკოვი.** 9 მარტი, ფინლიანდიის მთავრობა პარლამენტის ჯგუფებთან ხშირ მოლაპარაკებით არკვევს საკითხს შესახებ ფინლიანდიის სამხედრო კავშირისა პოლონეთთან. კავშირის სასარგებლოდ განწყობილია 107 ხმა 200-დან. პროგრესიული, აგრარიული და კოალიციონური ჯგუფები სდგანან თავისთვის. სოც.-დემოკრატიული ჯგუფს თავისი დამოკიდებულება ჯერ კიდევ არ გამოურკვევია.

**ლონდონი.** ირლანდიაში სინფეინერებსა და ინგლისელებს შორის შეტაკებები კვლავ განახლდა. თემთა პალატას ჩერჩილმა აცნობა, რომ უკანასკნელ ხანში ირლანდიაში გატარებულია რეგისტრაციაში 84 თავდასხმა ინგლისის პოლიციაზე და 34 თავდასხმა ინგლისელ ჯარისკაცებზე. აღრიცხულია 13 მოკლული 36 დაჭრილი.

**ბორდო.** 7 მარტი. დეპუტატთა პალატამ მოისმინა მოხსენება საფრანგეთის არმიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადის შესახებ. წამოყენებულია ორი ვადა: წლინახევარი და წელიწადი. დეპუტატთა პალატამ დაიწყო ბჭობა მოხსენების მოსმენა შესახებ ერთწლიანი სამხედრო სავალდებულო სამსახურის დაკანონებისა.

**ბორდო.** 7 მარტი. საკონტრიბუციო კომისიამ ოფიციალურად გაუგზავნა უნგრეთის მთავრობას, რომ უნგრეთის მთავრობის მიერ დამტკიცებულ 1922 წლის ბიუჯეტში არ არის არც ერთი მუხლი, რომელიც ეხება საკონტრიბუციო გადასახადს, ამასობაში კი უნგრეთმა უნდა იხელმძღვანელოს ტრიანონის ხელშეკრულებით და გადაიხადოს მასზე დაწერილი კონტრიბუცია.

**ნაუენი.** 7 მარტი. „დეილი ტელეგრაფი" ამტკიცებს, რომ საკონტრიბუციო კომისია, ეძებს რა კანონს დანიშნულებებს, [illegible] გერმანიას მოთხოვნილებებს 720 მილ. მარკას ოქროთი და 1,450 მილ. [illegible] მასალებით გადახდის შესახებ.

**ბერლინი** 7 მარტი. ბერლინში მოვიდა იაპონიის სავაჭრო [illegible] დელეგაცია, რომელიც [illegible] მიზნად გერმანიის ცხოვრების პირობების გაცნობას. პრაქტიკული ამოცანა დელეგაციისა ეხება მოლაპარაკებებით გერმანიასთან საქმიან დამოკიდებულების განმტკიცების შესახებ.

# ქალთა დღესასწაული ტფილისში

8 მარტს ტფილისში პირველად იქმნა გადახდილი მომუშავე ქალთა საერთაშორისო დღესასწაული.

ყველა დაწესებულებებში და საწარმოვო დარგებში, როგორც საზოგადო ისე კერძოში, მუშა ქალებმა დაასრულეს მუშაობა 12 საათზე და გაეშურენ აღნიშნულ პუნქტებზედ და შემდეგ დროშებით გაემართენ აღმოსავლეთ ბრიგადის კურსანტების ბინისაკენ. აქ მათ შეხვდნენ მუშა ქალები სამხედრო ორგანიზაციებისა, სამხედრო ორკესტრით და მიესალმენ კურსელები.

აქედან სამხედრო ორკესტრით გაემართენ „დედათა და ბავშვთა" სახლისაკენ ყორღანოვის ქუჩაზე, სადაც გაიმართა დიდი მიტინგი. მკვრავმა ქალებმა შესწირეს „დედათა და ბავშვთა" სახლს თეთრეული. შემდეგ ყველა მუშა ქალები გაემართნენ 26 მაისის მოედნისაკენ.

გაიარეს ვარანცოვის ქუჩისაკენ № 49 სადაც მოწყობილია მუსულმან ქალთა კლუბი „კომუნა" აქ მოხდა კლუბის სადღესასწაულო გახსნა. ქალებს მიესალმა რაიკომის პასუხის მგებელი მდივანი ბაგიროვი. სიტყვები წარმოსთქვეს კავშიროს ქალთა განყოფილებისაგან ამხ. ცეიტლინმა ცეკას სახელით, გასვიანმა და ფლორა ვარდანიანმა მე-3 რაიკომის სახელით, ასრიბეკოვმა ერთ-ერთმა მუსულმან მუშა ქალთაგან სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა, რის შემდეგ გაემართენ 26 მაისის მოედნისაკენ. აქ გაიხსნა როზა ლიუქსენბურგის ძეგლი და გაიმართა დიდი მიტინგი გასვიანის თავმჯდომარეობით, რომელმაც განმარტა ქალთა დღის საერთაშორისო მნიშვნელობა, როგორც დღესასწაული მუშა ქალთა სოლიდარობისა. დაახასიათა როზა ლუქსემბურგი და აღნიშნა მისი როლი რევოლუციის ისტორიაში.

სიტყვები წარმოსთქვეს [illegible], ვარდანიანმა და ამ. [illegible] და სხვებმა, [illegible] მიტინგმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნა მოსკოვში მთელი ქვეყნის მუშა ქალებს. საღამოს 6 საათზე მიტინგი დაიშალა, სხვა და სხვა თეატრებში გაიმართა უფასო წარმოდგენები ქალთათვის. თეატრები სავსე იყო.

# სტუდენტთა სოციალურ უზრუნველყოფის კომისიის შესახებ

კარგა ხანია, რაც განათლების სახალხო კომისარიატთან დაარსებულია სტუდენტთა სოციალურ-უზრუნველყოფის კომისია. არა ერთხელ გვითქვამს, რომ არც თვით კომისარიატს, არც საქართველოს რევკომს არ დაუსვამთ ლიურ წესრიგში საკითხი სტუდენტთა უზრუნველყოფის შესახებ. ამასთანავე კომისარიატმა, შექმნა ერთი პარაზიტი.—სტუდენტთა უზრუნველყოფის კომისია, სწორედ პარაზიტი, არც მეტი და არც ნაკლები და აი რატომ: კომისიის წევრები ითვლებიან საბჭოთა მოსამსახურეებით და როგორც ასეთნი, ღებულობენ ულუფას, ჯამაგირს და სხვა მაშინ, როდესაც მათ არავითარი მოვალეობა არ აქვთ დაკისრებული. საბჭოთა მოსამსახურის უფლებებით კი სარგებლობენ. დასაშვებია ასეთი მოვლენა? რად არ გააუქმა კომისარიატმა თვის მიერ დაწესებული ორგანო, რომელიც არავითარ ღირებულების [illegible] არაა? რატომ თვალყურს არ ადევნებს ასეთ არანორმალურ მდგომარეობის ინსპექციის სახალხო კომისარიატი? ჩვენის ფიქრით ეხლა საჭიროა ფიქტიური ორგანოს, სტუდენტთა სოციალურად უზრუნველყოფის კომისიის გაუქმება.

მისი, კომისიის ხელახლად დაარსება მაშინ არის შესაძლებელი და საჭირო, როდესაც პრაქტიკულად დაისმის საკითხი სტუდენტთა უზრუნველყოფის შესახებ. კომისარიატი—საქველმოქმედო დაწესებულება არ არის, რომ მან იხამოს თავის ხარჯზე სხვა და სხვა ზედმეტი კომისიები.

ნ. მარგველაშვილი.

# ენის საკითხი დაწესებულებებში

სახელმწიფო ენაზე საქმის წარმოების შესახებ დეკრეტის დარღვევა პირველი მოვლენა არაა. არა ერთი წერილი მოთავსებულა იმის შესახებ, რომ სათანადო ორგანოებს ყურადღება მიექციათ შექმნილ მდგომარეობისათვის, მაგრამ მთავრობა არ ცდილა მკაცრად დაეცვა თავისი დადგენილება, რომელიც ილახება დეკრეტის დარღვევით.

რას ნიშნავს ეს?

მოგახსენებთ ტფ. მაზრის სტატისტიკურ ბიუროს შესახებ, რომელიც უკანასკნელ დროს აწარმოებს მიწერ-მოწერას რუსულ ენაზე. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოც ღებულობს ბიუროსგან ქაღალდებს არა სახელმწიფო ენაზე დაწერილს დოკუმენტებით, თებერვლის შუა რიცხვებში ტფ. მაზრის აღმასკომის ცირკულიარები დაეგზავნა თავის განყოფილებებისადმი, რათა უკანასკნელებმა იქონიონ საქმის წარმოება ყოფილიყო, აღმასკომის და წყლის თემების აღმასკომებთან რუსულ ენაზე, რადგან აღნიშნულ თემებში არ ჰყავთ მცოდნე ქართული ენისა. ეს ცირკულიარი კიდევ მოსახლეობაა, თუმცა არავითარი საბუთი არ წარმოადგენს მაზრის თემების აღმასკომებმა იცოდნენ ქართული ენის მცოდნენი, რომლებითაც, სამწუხაროდ, ღარიბი არა ვართ. მაგრამ ეს ცირკულიარი სრულიად არ ნიშნავს ადგილობრივ განყოფილებებთან, ცენტრთან იქონიოს სტატისტიკურმა ბიურომ საქმის წარმოება არა სახელმწიფო ენაზე. საჭიროა მთავრობამ ხოუფაქვეს, რომ დადგენილება არ ირღვეოდეს.

ასეთ მოვლენებს ბოლო უნდა მოეღოს.

ნ. მა—ლი.

# ჩვენი ფოსტა

**ტონი**—მოგვაწოდეთ წერილები და კორესპონდენციები.

**რედაქტორი**—სარედაქციო კოლეგია
**გამომცემელი**—მთავარი კომიტეტი.